ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2017
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/17

შეკითხვა:

წერილობითი ხელშეკრულებით ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობაზე. ადვოკატმა გაუწია კლიენტს იურიდიული მომსახურება, თუმცა საქმის დასრულების შემდგომ, კლიენტმა არ გადაიხადა გასამრჯელო. ადვოკატმა კლიენტის მიერ მისთვის მინდობილი თანხიდან გამოქვითა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი. კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, რამდენად ეთიკურია ადვოკატის ქმედება?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა გაუწია თავის კლიენტს საადვოკატო მომსახურება, თუმცა კლიენტმა მას არ გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებული იყო დაებრუნებინა კლიენტის ფულადი სახსრები და ყველა ის დოკუმენტი, რაც

მას მიანდეს, თუმცა მას უფლება აქვს მისთვის მისაღები გასამრჯელო გამოქვითოს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან.

დასკვნა:

ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს კლიენტის მიერ მისთვის მინდობილი ფულადი სახსრებიდან გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.